

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მიმოხილვა 2009 წელი

2009 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა წინა წელთან შედარებით 29.3 პროცენტით შემცირდა და 5513,3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

- ექსპორტი შემცირდა 24,1 პროცენტით და განისაზღვრა 1135,0 მლნ. აშშ დოლარით;
- იმპორტი შემცირდა 30,6 პროცენტით და განისაზღვრა 4378,3 მლნ. აშშ დოლარით.


საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2003-2009 წლებში

მლნ. აშშ დოლარი

წლები	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
ბრუნვა	1 606,4	2 494,8	3 357,6	4 674,3	6 456,9	7 802,7	5513,3
ზრდის ტემპი (%)	48,9%	55,3%	34,6%	39,2%	38,1%	20,8%	- 29,4%
ექსპორტი	465,3	646,9	866,7	993,1	1 240,2	1497,7	1135
ზრდის ტემპი (%)	33,8%	39,0%	34,0%	14,6%	24,9%	20,6%	- 24,1
იმპორტი	1 141,1	1 847,9	2 490,9	3 681,2	5 216,7	6 305	4378,3
ზრდის ტემპი (%)	56,0%	61,9%	34,8%	47,8%	41,7%	20,9	- 31,6
საღდო	- 675,8	- 1 201,0	- 1 624,2	- 2 688,1	- 3 976,5	- 4560,4	- 3243,4


მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლამდე წინა წლებთან შედარებით ექსპორტის მოცულობა (აბსოლუტურ მაჩვენებლებში) იზრდებოდა, მისი ხვედრითი წილი ჯამურ სავაჭრო ბალანსში კლებით ხასიათდებოდა.

2008 წელს ექსპორტის ხვედრითმა წილმა მთლიან ბალანსში უმნიშვნელოდ მოიმატა და 19.8% შეადგინა. იგივე ტენდენცია შენარჩუნდა 2009 წელსაც და აღნიშნულმა მაჩვენებელმა 20.6% შეადგინა.



ასევე, პოზიტივია ის, რომ 2009 წელს სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წილმა საერთო ექსპორტში წინა წელთან შედარებით 11.2 ერთეულით მოიმატა და 27.9% შეადგინა. იგივე მაჩვენებელი იმპორტში 1.4-ერთეულით გაიზარდა და 15.6% შეადგინა.

სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წილი



ასევე, აღსანიშნავია, რომ 2009 წელს სავაჭრო პარტნიორთა რიცხვი, რომლებთანაც საქართველოს დადაბითი სავაჭრო ბალანსი აქვს წინა წელთან შედარებით 9 ქვეყნით გაიზარდა და 30 ქვეყნით განისაზღვრა. უარყოფითი სავაჭრო ბალანსის მქონე ქვეყნების რიცხვი 8 ერთეულით შემცირდა და 101 შეადგინა.

რეგიონალური ვაჭრობა

საქართველო – ევროკავშირი

2009 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან 26% შემცირდა, 1546.9 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 28.1% დაიკავა.

- ექსპორტი 29.1% შემცირდა, 237.6 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი ექსპორტის 20,8% დაიკავა.
- იმპორტი 25.5% შემცირდა, 1309.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი იმპორტის 29,9% დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ევროკავშირის ხვედრითი წილი უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იზრდება. გასულ წელს მას მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 26.5% ეკავა.

საქართველო - დსთ


2009 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა დსთ-ს ქვეყნებთან 34%-ით შემცირდა, 1260.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 30.4% დაიკავა.

- ექსპორტი 23%-ით შემცირდა, 417.0 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი ექსპორტის 36.7% დაიკავა.
- იმპორტი 37%-ით შემცირდა 1260.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი იმპორტის 28.8% დაიკავა.

ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტის მოცულობამ 2009 წელს პირველად გადააჭარბა დსთ-ს ქვეყნებიდან იმპორტირებულ პროდუქციას, რაც საიმპორტო ბაზრების ურთიერთჩანაცვლების მაღალ კოეფიციენტზე მიუთითებს.

ექსპორტის კუთხით დსთ-ს ბაზარი კვლავ მნიშვნელოვანია და ამ რეგიონში 80%-ით მეტი ოდენობის ექსპორტი გადის, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებში.

საგარეო სავაჭრო ბრუნვა რეგიონების მიხედვით




ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები

2009 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილი საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66,3 პროცენტს შეადგენს. უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის არის დსთ-ს 3 ქვეყანა და მათზე მოდის მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 24,6 პროცენტი.

2009 წელს, 2008 წელთან შედარებით რუსეთის ხვედრითი წილი საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში კიდევ უფრო შემცირდა და ამ ქვეყანამ მე-5-დან მე-6 ადგილზე გადაინაცვლა.

**საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები
2009 წლის ბრუნვის მიხედვით**




თურქეთი 2009 წლის საგარეო სავაჭრო ბრუნვის მიხედვით კვლავ საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა. სავაჭრო ბრუნვა წინა წელთან შედარებით 15,7 პროცენტით ნაკლებია და 1014,2 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, მას საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 18,4% უკავია.

მიუხედავად იმისა, რომ **აზერბაიჯანთან** სავაჭრო ბრუნვა 33%-ით შემცირდა, იგი სავაჭრო პარტნიორების ათეულში მეორე ადგილს კვლავ ინარჩუნებს 544,4 მლნ. აშშ დოლარი სავაჭრო ბრუნვით. მას საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 9.5% უკავია.

ასევე, მესამე ადგილს, 9.1% ხვედრითი წილით კვლავ ინარჩუნებს **უკრაინა**. ამ ქვეყანასთან 2009 წელს სავაჭრო ბრუნვა 36.6%-ით შემცირდა და 502,3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

2009 წელს ძირითადი ათი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების სია თითქმის უცვლელია, გარდა იმ ფაქტისა, რომ არაბთა გაერთიანებული საემიროები ჩანაცვლებული იქნა კანადით.


საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2009 წლის ექსპორტის მიხედვით



2009 წელს ექსპორტის მიხედვით საქართველოს ათ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას მთლიანი ექსპორტის 76.6% უკავია.

2008 წელთან შედარებით ძირითადი შვიდი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვი უცვლელია. ხოლო მექსიკა, გაერთიანებული სამეფო და აშშ ჩაანაცვლეს იტალია-გერმანია-რუსეთმა.

უმსხვილესი სასაქონლო პოზიციები საქართველოს ექსპორტში



2009 წელს, 2008 წლის უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფის ძირითადი ათეული თითქმის უცვლელია, მხოლოდ ცემენტი იქნა ჩაანაცვლებული მინერალური წყლებით.


სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველ ადგილზე ფეროშენადნობებია – მათი წილი მთლიანი ექსპორტის 11,5%-ს შეადგენს და 130,1 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრება. დაუმუშავებელი ან ნახევრადამუშავებული ოქროს ექსპორტი შეადგენს 116,2 მლნ. აშშ დოლარს, რაც მთლიანი ექსპორტის 10,2 პროცენტია. მესამე ადგილზე მყოფი მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფის ექსპორტი შემცირებულია 34,9 მლნ. აშშ დოლარით და 78,5 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ექსპორტის მოცულობა გასულ წელთან შედარებით 24.1%-ით შემცირდა, დადებითი ფაქტია ის, რომ მის სტრუქტურაში გამოჩნდა ახალი მნიშვნელოვანი საექსპორტო პოზიციები. კერძოდ:

- **ხილკენკროვანი პროდუქციის** ექსპორტი 2008 წელთან შედარებით 2009 წელს თითქმის ორჯერ გაიზარდა და 1548 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული სახეობა გარდა დსთ-ს წევრი ქვეყნებისა (სომხეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, მოლდოვა, უკრაინა), ექსპორტირებულია აგრეთვე ევროკავშირის ორ ქვეყანაში (საბერძნეთი, იტალია);
- ამავე პერიოდში 12.4-ჯერ გაიზარდა **ზეთოვანი კულტურების თესლისა და სპორების ექსპორტი** და 1.67 მლნ აშშ დოლარიდან 22.53 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. აღნიშნული პროდუქცია სომხეთის, ყაზახეთის და თურქეთის ბაზრების გარდა გადის ევროკავშირის 6 ქვეყანაში (გერმანია, ავსტრია, ჩეხეთი, დანია, საფრანგეთი და გაერთიანებული სამეფო);


- ასევე, 2008 წელთან შედარებით თითქმის 3 მლნ აშშ დოლარით არის გაზრდილი ელექტროენერჯის ექსპორტი და იგი 20.1 მლნ აშშ დოლარს შეადგენს;
- ბოლო პერიოდში და განსაკუთრებით 2008 წელს საკმაოდ შემცირდა საქართველოდან ჩაის ექსპორტი, მაგრამ დადებითი მოვლენაა, ის რომ 2009 წელს ამ პროდუქციის ექსპორტი 0.3 ერთეულით გაიზარდა და 2.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა;
- 2009 წელს განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 292%-ით არის გაზრდილი სამკურნალო საშუალებების ექსპორტი. იგი 20 მლნ აშშ დოლარს შეადგენს და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 1.8% უკავია;
- ბოლო წლებში შეფერხებით მიმდინარეობდა (2008 წელს არ განხორციელებულა) იზოტაპების ექსპორტი საქართველოდან. 2009 წელს ამ პროდუქციის ექსპორტმა 4.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2009 წლის იმპორტის მიხედვით



2008 წელს იმპორტის მიხედვით საქართველოს ათ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას მთლიანი იმპორტის 67.8% უკავია, რაც, საქართველოს საიმპორტო ბაზრების ნაკლებ დივერსიფიცირებაზე მიუთითებს. ამასთანავე, ძირითადი ათი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების სია ძირითადად უცვლელია, თუ არ ჩავთვლით არაბთა გაერთიანებულ საემიროებსა და თურქმენეთს, რომლებიც ბულგარეთმა და რუმინეთმა ჩაანაცვლეს.

უმსხვილესი სასაქონლო პოზიციები საქართველოს იმპორტში



2009 წელს უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი ნავთობი და ნავთობპროდუქტებია – 555,3 მლნ. აშშ დოლარით, რომლის წილი იმპორტში 12,7 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზე იმყოფება მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი – 254,7 მლნ. აშშ დოლარით, რაც იმპორტის 5,8 პროცენტია. წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია სამკურნალო საშუალებების ჯგუფის იმპორტი 14,7 მლნ. აშშ დოლარით და 175,2 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს.

2009 წელს, 2008 წლის უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფის ძირითადი 7 პოზიცია უცვლელია, ხოლო შავი ფოლადის წნელები, მანგანუმის მანები და კონცენტრატები და ხორბალი ჩაანაცვლა სიგარეტის, შაქრისა და შოკოლადის პოზიციებმა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა ქვეყნების მიხედვით
2009 წელი
(ათასი აშშ დოლარი)

ქვეყნის დასახელება	სავაჭრო ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	სალდო
საგარეო ვაჭრობა – სულ	5 513 285,80	1 134 953,70	4 378 332,10	-3 243 378,50
ევროკავშირის ქვეყნები	1 546 872,80	237 643,60	1 309 229,20	-1 071 585,60
ავსტრია	53 094,40	1 135,90	51 958,50	-50 822,60
ბელგია	56 851,50	13 519,50	43 332,00	-29 812,50
ბულგარეთი	235 130,60	82 290,60	152 840,00	-70 549,40
გაერთიანებული სამეფო	66 595,30	8 187,20	58 408,10	-50 220,90
გერმანია	324 428,00	23 037,50	301 390,50	-278 353,00
დანია	11 428,10	624,5	10 803,60	-10 179,00
ესპანეთი	38 794,30	15 313,90	23 480,40	-8 166,60
ესტონეთი	3 163,00	1 234,20	1 928,80	-694,6
ირლანდია	5 626,30	274,6	5 351,70	-5 077,10
იტალია	150 968,50	23 282,10	127 686,40	-104 404,20
კვიპროსი	1 632,70	144,8	1 487,90	-1 343,10
ლატვია	20 192,30	3 431,90	16 760,40	-13 328,60
ლიტვა	27 619,90	9 884,80	17 735,10	-7 850,30
ლუქსემბურგი	3 238,60	77,9	3 160,70	-3 082,80
მალტა	1 146,60	16,5	1 130,10	-1 113,60
ნიდერლანდები	108 821,20	9 019,90	99 801,30	-90 781,30
პოლონეთი	43 704,60	4 985,00	38 719,60	-33 734,60
პორტუგალია	3 928,20	1 053,00	2 875,20	-1 822,20
რუმინეთი	126 075,30	12 207,00	113 868,30	-101 661,30
საბერძნეთი	74 235,70	12 258,50	61 977,20	-49 718,70
საფრანგეთი	69 177,70	5 817,30	63 360,40	-57 543,00
სლოვაკეთი	3 340,00	191,6	3 148,40	-2 956,90
სლოვენია	10 278,70	1 469,10	8 809,60	-7 340,50
უნგრეთი	25 186,40	249,6	24 936,80	-24 687,20
ფინეთი	12 933,50	587,5	12 346,00	-11 758,50
შვედეთი	15 842,80	216,3	15 626,50	-15 410,20
ჩეხეთი	53 438,90	7 132,90	46 306,00	-39 173,10
დსთ-ის ქვეყნები	1 677 106,50	416 974,20	1 260 132,30	-843 158,20
აზერბაიჯანი	544 392,00	166 480,40	377 911,60	-211 431,20
ბელარუსი	41 243,10	14 100,60	27 142,50	-13 041,80
თურქმენეთი	84 960,10	10 668,60	74 291,50	-63 622,90
მოლდოვა	5 533,80	1 595,70	3 938,10	-2 342,30
რუსეთი	310 200,20	21 111,50	289 088,70	-267 977,30
სომხეთი	130 335,70	88 941,70	41 394,00	47 547,70
ტაჯიკეთი	1 545,80	1 331,10	214,7	1 116,30
უზბეკეთი	9 319,90	5 806,30	3 513,60	2 292,70
უკრაინა	502 268,80	83 955,00	418 313,80	-334 358,80
ყაზახეთი	43 714,20	20 455,30	23 258,90	-2 803,60
ყირგიზეთი	3 593,00	2 528,00	1 065,00	1 463,00
დანარჩენი ქვეყნები	2 289 306,40	480 335,90	1 808 970,50	-1 328 634,70
ავსტრალია	6 319,70	244,2	6 075,50	-5 831,30
ავღანეთი	262	251,1	10,9	240,3

ალბანეთი	3 141,90	3 141,80	0,1	3 141,70
ანგოლა	3 139,40	3 139,40	-	3 139,40
ანდორა	74,3	-	74,3	-74,3
ანტიგუა-ბარბუდა	80,8	-	80,8	-80,8
არაბთა გაერთიანებული ემირატები	127 055,40	16 710,60	110 344,80	-93 634,20
არგენტინა	3 623,60	2,1	3 621,50	-3 619,30
აშშ	263 664,00	36 933,90	226 730,10	-189 796,20
აზალი ზელანდია	6 001,00	-	6 001,00	-6 001,00
ბანგლადეში	87,4	-	87,4	-87,4
ბარბადოსი	0,4	0,4	-	0,4
ბაჰამები	0,3	-	0,3	-0,3
ბელიზი	4,1	-	4,1	-4,1
ბენინი	25	25	-	25
ბოსნია-ჰერცეგოვინა	103,1	1,5	101,6	-100
ბრაზილია	75 964,00	1	75 963,00	-75 961,90
ბურკინაფასო	1 863,50	1 863,50	-	1 863,50
გაბონი	469,6	-	469,6	-469,6
განა	2 300,90	-	2 300,90	-2 300,90
გვატემალა	95,7	-	95,7	-95,7
გიბრალტარი	357,1	255,5	101,6	154
ეგვიპტე	5 731,90	3 477,10	2 254,80	1 222,30
ეკვადორი	6 621,50	1,2	6 620,30	-6 619,10
ერაყი	10 834,00	10 685,10	148,9	10 536,20
ვიეტნამი	9 572,00	184,9	9 387,10	-9 202,30
ვირჯინის კუნძულები, ბრიტანეთი	639,9	189,4	450,5	-261,1
თურქეთი	1 014 227,80	226 191,20	788 036,60	-561 862,60
იამაიკა	10,1	-	10,1	-10,1
იაპონია	64 638,50	4 561,40	60 077,10	-55 515,70
იემენი	4,4	1,5	2,9	-1,4
ინდოეთი	33 911,60	5 816,10	28 095,50	-22 279,40
ინდონეზია	8 069,40	557,2	7 512,20	-6 955,00
იორდანია	1 748,60	1 096,30	652,3	444
ირანი	36 320,80	6 425,80	29 895,00	-23 469,30
ისლანდია	89,8	-	89,8	-89,8
ისრაელი	71 528,40	1 635,00	69 893,40	-68 258,30
კამბოჯა	2,7	2,7	-	2,7
კამერუნი	30,1	6,7	23,4	-16,7
კანადა	131 372,60	117 224,10	14 148,50	103 075,70
კოლუმბია	784,8	55,1	729,7	-674,7
კონგო	53,7	-	53,7	-53,7
კორეა	21 904,30	5 105,80	16 798,50	-11 692,70
კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა	681	385,1	295,9	89,2
კოსტარეიკა	149	-	149	-149
კოტდივუარი	846,2	-	846,2	-846,2
კუბა	197,8	-	197,8	-197,8
ლიბანი	4 023,30	3 869,90	153,4	3 716,50
ლიბია	12,6	12,6	-	12,6
ლიხტენშტაინი	1 695,60	-	1 695,60	-1 695,60

მავრიკი	76,4	-	76,4	-76,4
მავრიტანია	4,2	-	4,2	-4,2
მაკედონია	166,3	132,2	34,1	98,1
მალაიზია	3 215,90	21,6	3 194,30	-3 172,70
მალი	4,8	-	4,8	-4,8
მაროკო	112	72,7	39,3	33,4
მექსიკა	84	40	44	-4
მონაკო	28	-	28	-28
მონგოლეთი	278,4	278,4	-	278,4
ნეპალი	0,2	0,2	-	0,2
ნიგერია	39,9	0,2	39,7	-39,4
ნორვეგია	5 163,10	570,1	4 593,00	-4 022,90
ომანი	1 672,50	-	1 672,50	-1 672,50
პაკისტანი	362,4	92,1	270,3	-178,2
პანამა	1586,4	630,8	955,6	-324,8
პერუ	121,3	-	121,3	-121,3
სამხრეთი აფრიკა	4 025,20	93,7	3 931,50	-3 837,80
სანმარინო	35,6	-	35,6	-35,6
საუდების არაბეთი	9 856,80	9 473,20	383,6	9 089,60
საფრანგეთის პოლინეზია	62,9	57,3	5,6	51,7
სეიშელები	26 682,90	-	26 682,90	-26 682,90
სერბია-მონტენეგრო	1 784,00	298,4	1 485,60	-1 187,20
სიერალეონე	211,9	164,4	47,5	117
სინგაპური	28 012,90	1 234,00	26 778,90	-25 544,80
სირია	5 875,10	3 400,30	2 474,80	925,5
სულანი	514,5	514,5	-	514,5
ტაივანი, ჩინეთის პროვინცია	8 038,10	1 200,90	6 837,20	-5 636,30
ტაილანდი	10 679,60	300,7	10 378,90	-10 078,30
ტანზანია	34	-	34	-34
უგანდა	10,9	-	10,9	-10,9
ურუგვაი	507,5	1,8	505,7	-503,9
ფარერის კუნძულები	57,8	-	57,8	-57,8
ფილიპინები	293,7	198,9	94,8	104,1
ქუვეითი	776,9	220,1	556,8	-336,7
ყატარი	1,3	1,3	-	1,3
შვეიცარია	36 924,90	2 290,60	34 634,30	-32 343,70
შრილანკა	1 150,70	72,2	1 078,50	-1 006,20
ჩილე	1 582,30	-	1 582,30	-1 582,30
ჩინეთი	180 634,60	5 965,50	174 669,10	-168 703,50
ხორვატია	5 550,00	168,8	5 381,20	-5 212,40
ჯიბუტი	136,2	-	136,2	-136,2
ჰონდურასი	58,1	-	58,1	-58,1
ჰონკონგი, ჩინეთის სპეციალური ადმინისტრაციული რაიონი	32 556,30	2 786,30	29 770,00	-26 983,70